

GEORGE NARIMANISHVILI

FREE UNIVERSITY OF TBILISI

[g.narimanishvili@freeuni.edu.ge](mailto:g.narimanishvili@freeuni.edu.ge)

## BRIEF DESCRIPTION OF THE “TREASURE” OF TEMPLARS

### Abstract

After the capture of Jerusalem, soon, nine knights, led by Hugues de Payens, decided to establish a military monastic order, the order of Knights Templars. In the beginning, the first aim of the order was the defense of pilgrims, but later its functions became wider. Soon after the establishment of the order, it became a tradition to grant Templars expensive gifts, king of Jerusalem, patriarch and European nobles believed that the material support of the order was their honorable responsibility. This support made possible for Templars to strengthen and enlarge their number. The order also received many privileges from the Pope. After receiving many privileges the order started to grow rich very soon. The order received wealth and properties all around Europe and the Middle East. As a result, the knights started to carry out financial operations. In the way of keeping money, Templars did gather their famous “treasure”, which is the main goal for some treasure seekers till our days. So, the first function of the order was passive: it became the main safe for Europe. Templars also managed the finances of some European monarchs. For example, king of Sicily Charles of Anjou and king of Aragon James I delivered management of their finances to Templars. Templars also managed finances of Pope Clement V. Along with keeping of many individuals’ money and treasure, Templars did have their own finances without any concrete assignment. So, along with management of others’ money Templars started to lend debts, which also became a source of big income. Soon they were named “Bankers of the West”. As many believe, the financial success of Templars became one of the reasons for their annihilation.

On September 14<sup>th</sup> of 1307, by order of Phillip IV, almost all Templars in France were arrested. The process lasted for seven years and Templars were accused of many sins and crimes, lots of them were burnt alive and in 1314, by order of the Pope, the order ceased to exist.

It must be mentioned that the legend about the “treasure” of Templars is still very popular in our time. Despite all legends, it is clear that the “treasure” of Templars was their material property and by destroying the order, the most influential noblemen and monarchs of Europe, as well the pope did not appropriate any “sacral secret”, but got free from debts and started to carry out new politics.

**Keywords:** History, Templars, Middle Ages, treasure, debt.

David Greaber wrote a monograph about debt and its importance for the world history and development of humanity (Greaber 2011). In the first chapters, the author describes debt and represents its definitions. After that David Greaber discusses the phenomenon of debt in the framework of history and geography. Describing examples of Athens and Rome, the author connects the rise of European Civilization to debt and money (Greaber 2011, 228). At the same time, he explains the fall of the Roman Empire with financial crises, which lasted for about 400 years till the time when Europe established a new financial system (Greaber 2011, 252). Discussing the financial systems of India, China and the Islamic World in the Middle Ages, the author does not mention such an important factor as the financial apparatus, created by the Order of Templars. In this article, I will try to briefly describe the financial activities of Templars and the results.

On 15<sup>th</sup> of July of 1099, on Friday, after a one-month-long siege, Crusaders fulfilled their oath from the Council of Clermont and took the Holy City (Raymond of Aguileres 1921, 260; Gesta Francorum 1921, 256; Kostic 2009, 120; Narimanishvili 2009, 59). In spite of the first success, lots of problems appeared in front of them. First of all, they had to defend the conquered territories, what was hard to make surrounded by enemies. After conquering Jerusalem many crusaders believed that their mission was fulfilled and returned to Europe. So the newly established Latin Kingdoms fell in a situation

of catastrophic shortage of human resources (Runciman 1995, 3; Asbridge 2012, 106). This situation was aggravated by the defeat of the Crusade of 1101 (Runciman 1995, 29; Asbridge 2012, 107). In spite of this, Crusaders maintained their lands and added several strategic points to previously conquered territories. Though, Muslims, almost with impunity, plunder the lands around Jerusalem and kill and enslave Christian pilgrims. Exactly for the defense of pilgrims and their safety, the Order of Templars was established. Led by Hugues de Payens nine knights decided to establish a military monastic order (Demurger 2008, 12). The Order of Temple, like other later military orders, united within itself ideals of monk and knight. For that period this idea was unacceptable. In Christian society, the three-layered social structure was established: one layer – fights, second one – prays and the third one – works (Demurger 2008, 15; Narimanishvili 2009, 4). All three layers were hierarchically extremely different. The ecclesiastic layer was the highest one and monks were the top class of it (Demurger 2008, 15).

In the beginning, Knight Templars did not have their own church or living space, but in 1118, the king of Jerusalem, Baldwin II granted them residence on the mount of Moriah for their pure service. The knight monks settled in the mosque of al-Aqsa, which, as Crusades believe, was standing of the place of Solomon's Temple. From here comes their name "Knight of the Solomon's Temple" or simply "Templars" from the Latin word Temple (Addison 1842, 5).

Since this time it became a tradition to grant Templars expensive gifts, king of Jerusalem, patriarch and European nobles believed that the material support of the Order was their honorable responsibility. This support made possible for Templars to strengthen and enlarge their number (Addison 1842, 5; Newman 2008, 63-72). The order also received many privileges from the Pope (Omne Datum Optimum; Melville 1999, 44-46).

After receiving many privileges the Order started to grow rich very soon. In spite that the order received wealth and properties all around Europe and the Middle East, Templars established an excellent management system of their belongings. The system was established on a strict hierarchy: castles obeyed to commandries, commandries to provinces, provinces to chapter and all threads of power were in hands of grandmaster (Melville 1999, 37). Along with establishing of the management system, Templars started to unite the geographically separated lands into compact blocs. Sale and purchase, as well as an exchange, made possible to enlarge their territories and get rid of unprofitable or separated lands (Demurger 2008, 156). Also, they were taking into account the peculiarities of each region and produced there the most profitable products. For example, in Dijon, the order owned vineyards; in Larzak Templars direct their attention to growing wheat and breeding of horses, oxen, and sheep. Sheep breeding took place also in Champagne, Aragon, and England. In southern Italy, Templars owned orchards, vineyards and olive gardens (Demurger 2008, 161-162).

Templars also collect different taxes from their lands. Along with the land tax, peasants did pay to the order road taxes, taxes of conveyance and trade, as well as taxes for ovens, presses, and mills. In the beginning, the order collected taxes in natural goods (wheat, barley, wine, cheese, etc.) but in the 12<sup>th</sup> century they started to collect money and fixed taxes were established (Demurger 2008, 162; Newman 2008, 235 - 238).

The order was also caring out all monastic activities. It used to be a shelter for people, as well as for their properties. The god's house was the safest place to keep expensive goods; it was believed to be inviolable. Monasteries of the military orders enjoyed the biggest confidence. Especially "Houses" of Paris, London, La Rochelle and other ones, which had high walls and were defended by a big number of monks, seemed to be the safest ones.

Exactly in the way of keeping money Templars did gather their famous "treasure", which is the main goal for some treasure seekers till our days. So, the first function of the order was passive: it became the main safe for Europe (Demurger 2008, 191-192).

The order was also keeping some amounts meant for different goals, which were postponed because of one reason or another. Each item delivered to the order used to be kept in a chest and only the head of the order's treasury had keys of the chests. The chests could be opened only with the permission of the owner. During the first crusade of Louis IX, Templars were carrying chests of many crusaders by one of their ships, which was a real swimming bank.

Along with the keeping of many individuals' money and treasure, Templars did have their own finances without any concrete assignment. So, along with management of others' money Templars started to lend debts, which also became a source of big income (Demurger 2008, 193).

Even kings asked Templars for help. They could be private clients of the order, but most important are official relations between Templars and monarchs.

Before their journey to the Holy Land, some kings used to deliver state treasury to the order or borrow money for the trip. For example, Henry II delivered the state treasury to the order and before his journey to the Holy Land, Edward I borrowed 5000 Livres from Templars. During his exile from Rome Pope Alexander III also borrowed huge amounts from Templars. This was the first step for Templars towards the rule of state finances. In England, this happened only partly: Henry II delivered to Templars just half of his treasury and kept another half at court (Demurger 2008, 239). Dislike this, the whole treasury of France was kept in the Templars' "House" of Paris since the middle of the 12<sup>th</sup> century. In 1190 before his crusade, Philip II issued the ordinance, which regulated the role of the kingdom during his absence. The king ordered his officials to keep all collected taxes in Templars' "House" of Paris. As it seems, Templars managed the French treasury during the 13<sup>th</sup> century (Newman 2008, 246). In spite of this, in 1295, King Philip IV ordered to transfer the treasury from Templars' "House" to Louvre, but in 1303 returned it to the order.

Templars also managed the finances of other monarchs. For example, king of Sicily Charles of Anjou and king of Aragon James I delivered management of their finances to Templars. Templars also managed the finances of Pope Clement V (Demurger 2008, 240).

The order secured its finances using three means: mortgage, interest, and penalties. In return for the debt, the borrower used to deliver to Templars his property. In case, when Templars did not participate in financial operations directly, they often were in the position of advisors or witnesses (Demurger 2008, 195).

Commercial economy of Europe in that period was in a situation of deficiency of cash money, which could be made up by fast turnover, but circulation was very slow. To solve this problem it was required to avoid the transportation of money. So, some clients of Templar did borrow debt in Europe and spend money in the East and vice versa. In spite of this, some corrections were required, because the balance of payments, which depended on the balance of trade, was not corrected properly (Demurger 2008, 197). So, Templars did carry out the transportation of cash money for laymen as well as for clergy.

All the above-mentioned facts make clear that the order of Templars controlled a huge capital and organized management of income and properties perfectly. Soon they were named "Bankers of the West". As many believe, financial success of Templars became one of the reasons for their annihilation.

On September 14<sup>th</sup> of 1307, Phillip IV ordered to arrest all Templars in France (Melville 2000, 342). The process lasted for seven years and Templars were accused of many sins and crimes.

Royal officials and inquisitors used all methods to get confessions. Templars mostly confess under terrible tortures, so investigators soon collected many shreds of evidence of their sins and crimes. Those who confess were freed, but who did not, they were burnt alive. On March 18<sup>th</sup>, 1314 the twenty-third and the last grandmaster of Templars Jacques de Molay was burnt alive (Melville 2000, 383-384). This was the end of two hundred year history of Templars. It is true that in some countries Templars were acquitted and several of them escaped from France, but the order was abolished and they lost their glory and influence forever. Survived knights continued their lives as general monks and financial operations were transferred under the control of Italian bankers. There was no more need in legendary warriors, who fought for God and the Holy Land.

It must be mentioned that the legend about the "treasure" of Templars is still very popular in our time. I would like to pay special attention to one legend, which appeared at the end of the 20<sup>th</sup> century and is very popular on TV and books. It is connected to a small French village Rennes-le-Chateau and its priest Berenger Sauniere. Society was interested in Berenger Sauniere and his "treasure" in the 70s of the 20<sup>th</sup> century. Study of the priest's life and his discovery was started by a BBC journalist Henry Lincoln and in 1972, 1974 and 1979 he and his colleagues released three documentaries about him. These documentaries became a base for a bestseller "The Holy Blood and the Holy Grail", which was published in 1982 by Michael Baigent, Richard Leigh, and Henry Lincoln. Authors of the book believe that Berenger Sauniere discovered not a material treasure but a "spiritual" one, which was hidden by the Templars (Baigent, Leigh, Lincoln 2007, 8). Basing on this hypothesis, in 2003 BBC released documentary under the title "The Mystery of Rennes-le-Chateau" and in the same 2003, Dan Brown issued his famous bestseller "The Da Vinci Code", which was released as a movie in 2006.

Despite all legends, it is clear that the "treasure" of Templars was their material property and by destroying the order the most influential noblemen and monarchs of Europe, as well the pope did not appropriate any "sacral secret", but got free from debts and started to carry out new politics.

**References:**

- Asbridge, T. 2012. *The Crusades: The War for the Holy Land*. London: Simon and Schuster UK Ltd.
- Addison, Ch. 1842. *The History of the Knights Templars, the Templar Church, and the Temple*. London.
- Baigent, M., Leigh, R., Lincoln, H. 2007. *Sviataya krov' i sviatoy Graal'*. Moskva: Eksmo.
- Demurger, A. 2008. *Zhizn' i smetr' ordena tamplierov 1120 – 1314*. Sankt-Peterburg: Evrazia.
- Gesta Francorum, Anonymi Gesta Francorumetaliorum Hierosolymatinum*, in Krey A. 1921. *The First Crusade: The Accounts of Eye-Witnesses and Participants*. Princeton University Press.
- Greaber, D. 2011. *Debt, the First 5000 Years*. New York: Melville House Printing,
- Kostick, C. 2009. *The Siege of Jerusalem: Crusade and Conquest in 1099*. Continuum International Publishing Group.
- Melville, M. 1999. *Istoria ordena tamplierov*. Sankt-Peterburg: Evrazia.
- Narimanishvili, G. 2009. *Jvarosnebi da fatimianebi: jvarosnebisa da fatimianebis samkhedro dapirispireba jvarosnuli lashkrobebis dros*. Tbilisi: Mtsignobari.
- Newman, Sh. 2008. *Podlinnaya istoria tamplierov*. Moskva: Knizhniy klub 36.6.
- Omne Datum Optimum*, in *The Templars*, selected sources translated and annotated by Malcolm Barber and Keith Bate, Manchester University Press. 2002.
- Runciman, S. 1995. *A History of the Crusades*, vol. I. Cambridge University Press.
- Raymond of Aguileres, *Historia Francorum qui ceperunt Jerusalem*, in Krey A. 1921. *The First Crusade: The Accounts of Eye-Witnesses and Participants*. Princeton University Press.

გიორგი ნარიმანიშვილი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

[g.narimanishvili@freeuni.edu.ge](mailto:g.narimanishvili@freeuni.edu.ge)

## ტამპლიერთა ორდენის „განძი“-ს მოკლე მიმოხილვა

### რეზიუმე

1099 წელს ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღებიდან მალევე ჰუგო დე პაიენის თაოსნობით ცხრა რაინდმა გადაწყვიტა სამხედრო სამონასტრო ორდენის ჩამოყალიბება. თავდაპირველად ორდენის მთავარი მიზანი მომლოცველთა დაცვა იყო, თუმცა შემდეგ მათი ფუნქციები გაფართოვდა. ორდენის ჩამოყალიბებიდან მალევე ტრადიციად იქცა ტამპლიერებისთვის ძვირფასი საჩუქრების ბოძება, იერუსალიმის მეფე, პატრიარქი და ევროპელი ბარონები ორდენის მატერიალურ დახმარებას თავის საპატიო მოვალეობად თვლიდნენ. ამან ტამპლიერებს საშუალება მისცა უფრო მოძლიერებულიყვნენ და თავიანთი რიგები გაეფართოებინათ. ორდენს მრავალი პრივილეგია ასევე რომის პაპმა მიანიჭა.

ორდენმა ძალზე მოკლე დროში შეიძინა აურაცხელი სიმდიდრე და უძრავი ქონება, რომელიც მთელს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებში იყო მოფენილი. მას შემდეგ რაც ორდენმა ძალა და სიმდიდრე მოიკრიბა, ტამპლიერებმა ფინანსური ოპერაციების ჩატარება დაიწყეს. ძვირფასეულობისა და ფულის შენახვის ხარჯზე ტამპლიერებმა დააგროვეს მათი ცნობილი „განძი“, რომელსაც ზოგი დღემდე ეძებს. ამდენად ორდენის პირველი ფინანსური ფუნქცია პასიური იყო: ის დასავლეთს სეიფის როლში მოეწოდებოდა. ტამპლიერები ევროპის მონარქების ფინანსებსაც განაგებდნენ. მაგალითად, თავისი ხაზინა ორდენს ჩააბარა სიცილიის მეფე შარლ I ანჟუმ და არაგონის მეფე ხაიმე I არაგონმა. ტამპლიერები ასევე განაგებდნენ პაპი კლიმენტ V-ის ფინანსებს. შესაძლოა გადაცემული ფულისა და სიმდიდრის გარდა, ტამპლიერები ფლობდნენ საკუთარ კაპიტალს რომელთაც არანაირი კონკრეტული დანიშნულება არ ჰქონია. ამდენად მეორე მხარის სასარგებლოდ თანხების მართვიდან, ორდენი ბუნებრივად გადავიდა პროცენტული ვალების გაცემაზე, რაც ასევე დიდი შემოსავლების წყაროდ იქცა. მათ მალევე ეწოდათ „დასავლეთის ბანკირები“. ტამპლიერთა ფინანსური წარმატება ხშირად ორდენის დაღუპვის ერთ-ერთ მიზეზად მოჰყავთ. 1307 წლის 14 სექტემბერს ფილიპე ლამაზის ბრძანებით დააპატიმრეს საფრანგეთში მოღვაწე თითქმის ყველა ტამპლიერი. პროცესი გაგრძელდა შვიდ წელიწადს. ტამპლიერებს მრავალ დანაშაულში ედებოდათ ბრალი, მრავალი მათგანი კოცონზე დაწვეს და საბოლოოდ 1314 პაპის ბრძანებით ტამპლიერთა ორდენი გაუქმებულად გამოცხადდა.

აღსანიშნავია, რომ ტამპლიერთა „განძი“-ის ლეგენდა დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ყველა ლეგენდის მიუხედავად, ნათლად ჩანს, რომ ტამპლიერთა „განძი“ სწორედ მათ მატერიალურ ქონებაში მდგომარეობდა და ორდენის განადგურებით, ევროპის ყველაზე გავლენიანი მონარქები, დიდგვაროვნები და რომის პაპი კონკრეტულ საგანძურს ან „საკრალურ საიდუმლოებას“ კი არ იგდებდნენ ხელში, არამედ ვალებისგან თავისუფლდებოდნენ და ახალი პოლიტიკის გატარებისთვის ემზადებოდნენ.

**საკვანძო სიტყვები:** ისტორია, ტამპლიერები, შუა საუკუნეები, ქონება, განძი.

დევიდ გრებერმა ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა ვალს და მის მნიშვნელობას მსოფლიო ისტორიასა და კაცობრიობის განვითარებაში (Greaber 2011). ნაშრომის პირველი თავები ავტორმა მიუძღვნა ვალის დეფინიციას და ინტერპრეტაციას. შემდეგ, გრებერი განიხილავს ვალის ფენომენს ისტორიულ და გეოგრაფიულ ჭრილში. სწორედ ვალს და ფულად ერთეულებს უკავშირებს ავტორი ევროპული ცივილიზაციის წარმოშობას, განიხილავს რა ათენისა და რომის მაგალითებს (Greaber 2011, 228). ამავე დროს ავტორი, სწორედ ფინანსური კრიზისით ხსნის რომის იმპერიის დაცემას, რასაც თითქმის 400 წლიანი პერიოდი მოჰყვა, სანამ ევროპა ახალ ფინანსურ სიტემას შექმნიდა (Greaber 2011, 252). განიხილავს რა ავტორი შუა საუკუნეების ინდოეთის, ჩინეთისა და ისლამური სამყაროს ფინანსურ სიტემებს, ის სრულიად უგულვებელყოფს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა ტამპლიერთა სამონასტრო ორდენის მიერ შექმნილი საერთაშორისო ფინანსური აპარატი. წინამდებარე წერილში შევეცდები მოკლედ აღვწერო ტამპლიერთა ორდენის ფინანსური საქმიანობა და ის შედეგები, რაც მას მოჰყვა.

1099 წლის 15 ივლისს, პარასკევ დღეს, დაახლოებით ერთთვიანი ალყის შემდეგ, ჯვაროსნებმა შეძლეს კლერმონის კრებაზე დადებული ფიცის შესრულება და წმინდა ქალაქი აიღეს (Raymond of Aguileres 1921, 260; Gesta Francorum 1921, 256; Kostic 2009, 120; ნარიმანიშვილი 2009, 59). პირველი წარმატების მიუხედავად, ჯვაროსანთა წინაშე მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი. პირველ რიგში აუცილებელი იყო დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება რაც მტრულად განწყობილ გარემოში არც თუ ისე ადვილი იყო. წმინდა ქალაქის აღების შემდეგ მრავალმა ჯვაროსანმა ჩათვალა, რომ მისია შესრულებულია და ევროპაში დაბრუნდა. ამდენად აღმოსავლეთში ახლადშექმნილი ქრისტიანული სახელმწიფოები ცოცხალი ძალის კატასტროფულ დეფიციტს განიცდიდნენ (Runciman 1995, 3; Asbridge 2012, 106). მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა 1101 წელს მოწყობილი ჯვაროსნული ლაშქრობის მარცხმა (Runciman 1995, 29; Asbridge 2012, 107). მიუხედავად ამისა, ჯვაროსნებმა შეძლეს დაპყრობილი მიწების შენარჩუნება და რამდენიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტიც დაუმატეს მანამდე დაკავებულ ტერიტორიებს. თუმცა, მუსლიმთა რაზმები დაუსჯელად დათარეშობდნენ იერუსალიმის მიდამოებში და უმოწყალოდ მარცვავდნენ, ხოცავდნენ და მონებად ყიდდნენ ქრისტიან პილიგრიმებს. სწორედ პილიგრიმებისა და წმინდა მიწაზე წამოსული მომლოცველების დასაცავად და მათი უსაფრთხოებისთვის შეიქმნა ტამპლიერთა ორდენი. ჰუგო დე პაიენის თაოსნობით ცხრა რაინდმა გადაწყვიტა სამხედრო სამონასტრო ორდენის ჩამოყალიბება (Демурже 2008, 12).

ტაძრის ორდენმა, როგორც შემდგომ სხვა სამხედრო ორდენებმა საკუთარ თავში გააერთიანა ბერისა და რაინდის იდეალები. ეს იდეა იმ პერიოდში სკანდალური იყო, რადგან ქრისტიანულ საზოგადოებას უნერგავდნენ სამფენიან სოციალურ სტრუქტურას: ერთი ფენა იბრძვის, მეორე ლოცულობს, მესამე მუშაობს (Демурже 2008, 15; ნარიმანიშვილი 2009, 4). სამივე ფენა იერარქიულად მკაფიოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. სასულიერო ფენა დანარჩენ ორზე მაღლა იდგა, ბერობა კი სასულიერო ფენის უმაღლეს კლასს წარმოადგენდა (Демурже 2008, 15).

თავდაპირველად ტამპლიერებს არც საკუთარი ეკლესია გააჩნდათ და არც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, თუმცა 1118 წელს იერუსალიმის მეფემ, ბოლდუინ II-მ უზადლო სამსახურისთვის მათ რეზიდენცია მორიას მთაზე უბოძა. რაინდი ბერები დასახლდნენ ალ-აქსას მეჩეთში, რომელიც ჯვაროსანთა წარმოდგენებით სოლომონის ტაძრის ადგილზე იყო აგებული. სწორედ აქედან წარმოიშვა მათი დასახელებაც “სოლომონის ტაძრის რაინდები” ანუ მოკლედ “ტამპლიერები” ლათინური სიტყვიდან Temple (Addison 1842, 5).

ამის შემდეგ ტრადიციად იქცა ტამპლიერებისთვის ძვირფასი საჩუქრების ბოძება, იერუსალიმის მეფე, პატრიარქი და ევროპელი ბარონები ორდენის მატერიალურ დახმარებას თავის საპატიო მოვალეობად თვლიდნენ. ამან ტამპლიერებს საშუალება მისცა უფრო მოძლიერებულიყვნენ და თავიანთი რიგები გაეფართოებინათ (Addison 1842, 5; Нюман 2008,

63-72). ორდენს მრავალი პრივილეგია ასევე რომის პაპმა მიანიჭა (Omne Datum Optimum; Мельвилъ 2000, 44-46).

მიუხედავად იმისა, რომ ორდენმა ძალზე მოკლე დროში შეიძინა აურაცხელი სიმდიდრე და ქონება, რომელიც მთელს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებში იყო მოფენილი, ტამპლიერებმა მშვენივრად გაართვეს თავი ამ სიმდიდრის მართვას. შეიქმნა კარგად აწყობილი მართვის სისტემა, რომელიც მკაცრ იერარქიულ პრინციპებს ეფუძნებოდა. ციხეები კომანდორებს ემორჩილებოდნენ, კომანდორები – პროვინციებს, პროვინციები – კაპიტულს და ბოლოს ხელისუფლების ყველა ძაფი დიდი მაგისტრის ხელში იყრიდა თავს (Мельвилъ 2000, 37). მართვის სისტემის ჩამოყალიბების გარდა ტამპლიერებმა მალევე დაიწყეს გეოგრაფიულად დანაწევრებული ქონების კომპაქტურ ბლოკებად გაერთიანება. ყიდვა-გაყიდვა და გაცვლა საშუალებას იძლეოდა გაეფართოებინათ ქონება და თავიდან მოეშორებინათ არამომგებიანი ან განცალკევებულად მყოფი მიწები. ტამპლიერები თავიდან იშორებდნენ მიწებს, რომლებიც სხვის ტერიტორიაში იყო შეჭრილი და მათ სამფლობელოებს “ანაწევრებდა” (Демурже 2008, 156). აგრეთვე ისინი ითვალისწინებდნენ ყველა რეგიონის თავისებურებას და აწარმოებდნენ იქ იმას, რასაც ყველაზე დიდი შემოსავალი შეეძლო მოეტანა. მაგალითად დიჟონში ორდენს ვენახები ჰქონდა გაშენებული. ლარზაკში ტამპლიერებს ხორბალი მოჰყავდათ და ცხენების, ხარებისა და ცხვრის მოშენებით იყვნენ დაკავებული. ცხვრის მოშენება ასევე შამპანში, არაგონსა და ინგლისში მიმდინარეობდა. სამხრეთ იტალიაში ტამპლიერები მებაღეობას მისდევდნენ, სადაც ასევე ვენახები და ზეთისხილის ხეები ჰქონდათ გაშენებული (Демурже 2008, 161-162).

ასეთ ფართო ტერიტორიაზე გადაჭიმული სამფლობელოებიდან ტამპლიერები სხვადასახვა სახის გადასახადებს იღებდნენ. მიწის გადასახადის გარდა, გლეხები ორდენს უხდიდნენ ასევე გზის გაადასახადებს, ტვირთის გადაზიდვისა და ბაზარში ვაჭრობის უფლების გადასახადს, აგრეთვე ღუმელების, პრესებისა და წისქვილების გამოყენების გადასახადებს. თავდაპირველად ორდენი გადასახადებს ძირითადად ნატურალური პროდუქტებით იღებდა (ხორბალი, ქერი, ღვინო, ყველი და სხვ.), თუმცა XII საუკუნეში ნელნელა დაიწყო გადასახადების ფულით აკრეფა და დადგინდა გადასახადების ფიქსირებული თანხები (Демурже 2008, 162; Нюман 2008, 235-238).

ორდენი ეწეოდა ყველა მონასტრისთვის დამახასიათებელ საქმიანობას. ის იყო თავშესაფარი როგორც ადამიანებისთვის, ასევე ქონებისთვის. ძვირფასი ნივთების შესანახად ღვთის სახლზე უსაფრთხო ადგილი არ არსებობდა, რომელიც პრინციპში ხელშეუხებლად ითვლებოდა. სამხედრო ორდენების მონასტრები კი ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობდნენ. განსაკუთრებით კი, პარიზის, ლონდონის, ლა როშელის და სხვა “სახლები” რომლებიც მაღალი გალავნებით იყო გარშემორტყმული და მრავალი შეიარაღებული ბერის მიერ იყო დაცული, ყველანაირი საფრთხისგან დაზღვეული ჩანდა. სწორედ ასე, ძვირფასეულობისა და ფულის შენახვის ხარჯზე დააგროვეს ტამპლიერებმა მათი ცნობილი “განძი”, რომელსაც ზოგი დღემდე ეძებს. ამდენად ორდენის პირველი ფინანსური ფუნქცია პასიური იყო: ის დასავლეთს სეიფის როლში მოეწოდებოდა (Демурже 2008, 191-192).

ორდენი ასევე ინახავდა კონკრეტული მიზნებისთვის განკუთვნილ თანხებს, რომელთა გამოყენება რამე მიზეზით გადაიდო. ორდენისთვის გადაცემული ნებისმიერი საგანი ინახებოდა სკივრში, რომლის გასაღებიც ორდენის ხაზინის გამგეს ჰქონდა და მისი გახსნა მხოლოდ მეპატრონის თანხმობის შემთხვევაში შეიძლებოდა. წმინდა ლუდოვიკოს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ტამპლიერებს ერთ-ერთი გემით, რომელიც ნამდვილ მცურავ ბანკს წარმოადგენდა, გადაჰქონდათ მრავალი ჯვაროსნის სკივრი.

გარდა კერძო პირების მიერ შესანახად გადაცემული ფულისა და სიმდიდრისა, ტამპლიერები ფლობდნენ საკუთარ ფინანსებს, რომელთაც არანაირი კონკრეტული დანიშნულება არ ჰქონია. ამდენად მეორე მხარის სასარგებლოდ თანხების მართვიდან, ორდენი ბუნებრივად გადავიდა პროცენტული ვალების გაცემაზე, რაც ასევე დიდი შემოსავლების წყაროდ იქცა (Демурже 2008, 193).

დიდგვაროვნების გარდა ფინანსური დახმარებისთვის ტამპლიერებს მეფეებიც მიმართავდნენ. ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ ორდენის კერძო კლიენტები, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ტამპლიერებთან მათი ურთიერთობები სახელმწიფო დონეზე.

წმინდა მიწაზე გამგზავრებამდე მეფეები მიმართავდნენ ორდენს და ან ხაზინას აბარებდნენ შესანახად, ან სალაშქროდ ფულს სესხულობდნენ. ასე, მაგალითად ჰენრი II-მ ორდენს მთელი თავისი ხაზინა ჩააბარა, ხოლო ედუარდ I-მა, წმინდა მიწაზე გამგზავრებამდე ტამპლიერებისგან რვა ათასი ლივრი ისესხა. ასევე ტამპლიერებისგან დიდ თანხებს სესხულობდა პაპი ალექსანდრე III როდესაც ის რომიდან იქნა გაძევებული. ეს იყო პირველი ნაბიჯი იქითკენ, რომ ორდენისთვის სახელმწიფო ფინანსების გამგეობა დაევალებინათ. ინგლისში ეს მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა: ჰენრი II-მ ხაზინის მხოლოდ ნახევარი გადასცა ორდენს, ხოლო მეორე ნახევარი სასახლეში დატოვა (Демурже 2008, 239). ამის საპირისპიროდ, საფრანგეთის მთელი სახელმწიფო ხაზინა ჯერ კიდევ XII საუკუნის შუა ხანებიდან ტამპლიერთა პარიზის „სახლში“ ინახებოდა. 1190 წ. ჯვაროსნულ ლაშქრობაში გამგზავრებამდე, ფილიპე II ავგუსტუსმა გამოსცა ორდონანსი, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა სახელმწიფოს მმართველობა მის არყოფნის დროს. მეფემ მოხელეებს დაავალა ყველა შეგროვილი გადასახადი ტამპლიერთა პარიზის „სახლში“ ჩაებარებინათ. სავარაუდოდ, ტამპლიერები საფრანგეთის ხაზინას მთელი XIII საუკუნის განმავლობაში განაგებდნენ (Нюман 2008, 246). მიუხედავად ამისა 1295 წელს ფილიპე ლამაზმა ბრძანა სახელმწიფო ხაზინა ტამპლიერთა რეზიდენციიდან ლუვრში გადაეტანათ, თუმცა 1303 წელს კლავ ტამპლიერებთან დააბრუნა.

ტამპლიერები ევროპის სხვა მონარქების ფინანსებსაც განაგებდნენ. მაგალითად, თავისი ფინანსები ორდენს ჩააბარა სიცილიის მეფე შარლ I ანჟუმ და არაგონის მეფე ხაიმე I არაგონმა. ტამპლიერები ასევე განაგებდნენ პაპი კლიმენტ V-ის ფინანსებს (Демурже 2008, 240).

თავის ფინანსურ უსაფრთხოებას ორდენი უზრუნველყოფდა სამი საშუალებით: გირაოთი, პროცენტებითა და ჯარიმებით. გაცემული თანხის სამაგიეროდ მევალე ტამპლიერებს თავის ქონებას გადასცემდა, რომელიც ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ორდენის საკუთრებაში რჩებოდა.

როდესაც ტამპლიერები უშუალოდ არ იღებდნენ მონაწილეობას ფინანსური ოპერაციების განხორციელებაში, ისინი ხშირად მრჩევლების ან მოწმეების როლს თამაშობდნენ (Демурже 2008, 195).

იმ პერიოდის ევროპული კომერციული ეკონომიკა ნაღდი ფულის ნაკლებობას განიცდიდა, რის კონსენსაციაც ფულის სწრაფი ბრუნვით შეიძლებოდა, თუმცა ცირკულაცია ძალზე ნელა მიმდინარეობდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო ფულის ტრანსპორტირების თავიდან არიდება. ამდენად, რათა ფულის გადენა შეეზღუდათ და გაეზარდათ ფიქტიური ტრანსფერების რაოდენობა, ტამპლიერთა ბევრი კლიენტი ვალს ევროპაში იღებდა და ფულს აღმოსავლეთში ხარჯავდა და პირიქით. მიუხედავად ამისა საჭირო იყო გარკვეული კორექტივები, საგადამხდელო ბალანსი, რომელიც დამოკიდებული იყო სავაჭრო ბალანსზე, ჯერ არ იყო წონასწორობაში მოყვანილი (Демурже 2008: 197). ამდენად ტამპლიერთა ორდენი მაინც ასრულებდა ნაღდი ფულის ტრანსპორტირებას როგორც საერო ასევე სასულიერო პირთათვის.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ტამპლიერთა ორდენს უზარმაზარი კაპიტალი დაუგროვდა. შემოსავლებისა და ქონების განკარგვის საქმეს ტამპლიერებმა შესანიშნავად გაართვეს თავი. მათ მალევე ეწოდათ „დასავლეთის ბანკირები“. ტამპლიერთა ფინანსური წარმატება ხშირად ორდენის დაღუპვის ერთ-ერთ მიზეზად მოჰყავთ.

1307 წლის 14 სექტემბერს ფილიპე ლამაზმა ბრძანა საფრანგეთში მოღვაწე ყველა ტამპლიერის დაპატიმრება (Мельвиль 2000, 342). პროცესი გაგრძელდა შვიდ წელიწადს. ტამპლიერებს მრავალ დანაშაულში ედებოდათ ბრალი.



ადიარებების მოსაპოვებლად მეფის მოხელეები და ინკვიზიტორები ყველა მეთოდს მიმართავდნენ. ტამპლიერები ჩვენებებს პრიტადად სასტიკი წამებების დროს იძლეოდნენ, ამდენად გამოდიხას მალევე ტამპლიერთა დანაშაულის მრავალი დამამტკიცებელი ჩვენება დაუგროვდა. მათ ვინც დანაშაულს აღიარებდა და შეწყალებას ითხოვდა მალევე ათავისუფლებდნენ, ხოლო მათ ვისგანაც აღიარება ვერ მოიპოვეს კოცონზე წვავდნენ. 1314 წლის 18 მარტს, კოცონზე დაასრულა თავისი სიცოცხლე ტამპლიერთა ოდენის ოცდამესამე და უკანასკნელმა დიდმა მაგისტრმა ჟაკ დე მოლემ (Мельвилъ 2000, 383-384). ამით დასრულდა ტამპლიერთა ორდენის ორასწლიანი ისტორია. მართალია რიგ ქვეყნებში ტამპლიერები გაამართლეს და მათ მოღვაწეობა განაგრძეს, ასევე რამდენიმე ტამპლიერმა დააღწია ფილიპე ლამაზის რისხვას და საფრანგეთიდან გაქცევა მოასწრო, ორდენმა სამუდამოდ დაკარგა უწინდელი დიდება და გავლენა. გადარჩენილი ან შეწყალებული ტამპლიერი რაინდები აგრძელებდნენ რიგითი ბერების ცხოვრებას, ფინანსური ოპერაციები იტალიელ ბანკირებს გადაეცა, ხოლო ლეგენდარული გმირი რაინდები, რომლებიც ღვთისა და წმინდა მიწისთვის იბრძოდნენ აღარავის სჭირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ტამპლიერთა „განძი“-ს ლეგენდა დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. განსაკუთრებით გვინდა გავამახვილოთ ყურადღება XX საუკუნის ბოლოს გაჩენილ და დღეს ბეჭდვითი თუ კინო საშუალებებით ძალზე გახმაურებულ ლეგენდაზე, რომელიც საფრანგეთის პატარა სოფელ, რენ ლე შატოსა და მის აბატს, ბერანჟე სონიერს უკავშირდება. ბერანჟე სონიერმა და მის მიერ აღმოჩენილმა „განძი“-ს საზოგადოების ყურადღება XX საუკუნის 70-იან წლებში მიიპყრო. აბატის მოღვაწეობისა და მისი აღმოჩენის კვლევა BBC-ის ჟურნალისტმა, ჰენრი ლინკოლნმა დაიწყო და 1972, 1974 და 1979 წლებში თავის კოლეგებთან ერთად მის შესახებ სამი დოკუმენტური ფილმი გამოუშვა. ეს დოკუმენტური სერიები შემდგომ საფუძვლად დაედო 1982 წელს მაიკლ ბეინჯეტის, რიჩარდ ლეისა და იმავე ჰენრი ლინკოლნის მიერ გამოშვებულ, გახმაურებულ ბესტსელერს „წმინდა სისხლი და წმინდა გრაალი“. წიგნის ავტორები ამტკიცებენ, რომ ბერანჟე სონიერმა აღმოაჩინა არა მატერიალური, არამედ ტამპლიერების მიერ დამალული „სულიერი განძი“ (Бейджент, Ли, Линкольн 2007, 8). ამ ჰიპოთეზის საფუძველზე 2003 წელს BBC-მ ხელმეორედ გადაიღო პოპულარულ-სამეცნიერო დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „რენ ლე შატოს საიდუმლო“ (The Mystery of Rennes-le-Chateau), ხოლო იმავე 2003 წელს დენ ბრაუნმა გამოუშვა თავისი ცნობილი ბესტსელერი „დავინჩის კოდი“ (The Da Vinci Code), რომლის ეკრანიზება 2006 წელს მოხდა.

ყველა ლეგენდის მიუხედავად, ნათლად ჩანს, რომ ტამპლიერთა „განძი“ სწორედ მათი მატერიალურ ქონებაში მდგომარეობდა და ორდენის განადგურებით, ევროპის ყველაზე გავლენიანი მონარქები, დიდგვაროვნები და რომის პაპი კონკრეტულ საგანძურს ან „საკრალურ საიდუმლოებას“ კი არ იგდებდნენ ხელში, არამედ ვალეზისგან თავისუფლდებოდნენ და ახალი პოლიტიკის გატარებისთვის ემზადებოდნენ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ნარიმანიშვილი, გ. 2009. *ჯვაროსნები და ფატიმიანები: ჯვაროსნებისა და ფატიმიანების სამხედრო დაპირისპირება პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს*. თბილისი: მწიგნობარი.
- Asbridge, T. 2012. *The Crusades: The War for the Holy Land*. London: Simon and Schuster UK Ltd.
- Addison, Ch. 1842. *The History of the Knights Templars, the Templar Church, and the Temple*. London.
- Gesta Francorum, Anonymi Gesta Francorum et aliorum Hierosolymatinum*, in Krey A. 1921. *The First Crusade: The Accounts of Eye-Witnesses and Participants*. Princeton University Press.
- Greaber, D. 2011. *Debt, the First 5000 Years*. New York: Melville House Printing,

- Kostick, C. 2009. *The Siege of Jerusalem: Crusade and Conquest in 1099*. Continuum International Publishing Group.
- Omne Datum Optimum*, in *The Templars*, selected sources translated and annotated by Malcolm Barber and Keith Bate, Manchester University Press. 2002.
- Runciman, S. 1995. *A History of the Crusades*, vol. I. Cambridge University Press.
- Raymond of Aguileres, *Historia Francorum qui ceperunt Jerusalem*, in Krey A. 1921. *The First Crusade: The Accounts of Eye-Witnesses and Participants*. Princeton University Press.
- Бейджент, М., Ли Р., Линкольн, Г. 2007. *Святая Кровь и Святой Грааль*. Москва: Эксмо.
- Демурже, А. 2008. *Жизнь и смерть ордена тамплиеров 1120—1314*. Санкт-Петербург: Евразия.
- Мельвиль, М. 2000. *История ордена тамплиеров*. Санкт-Петербург: Евразия.
- Нюман, Ш. 2008. *Подлинная история Тамплиеров*. Москва: Книжный клуб 36.6.